საქართველოს მთავრობის

დადგენილება №621

2025 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 აგვისტოს №501 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 აგვისტოს №501 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/08/2020, 140070000.10.003.022219) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სამსახური, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, მოთხოვნას უგზავნის შესაბამის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.“.

2. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 11. საერთაშორისო დახმარების ტრანზიტი**

1. მასპინძელი ქვეყნისათვის დახმარების აღმოსაჩენად, დამხმარე მხარე, საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტრანზიტის განხორციელების მიზნით, შესაბამის მოთხოვნას აგზავნის ამ დადგენილების №5 დანართის შესაბამისად.

2. ქვეყნის ტრანზიტისთვის გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, იღებს საქართველოს მთავრობა.“.

3. დანართი №5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**დანართი №5**

განაცხადი

ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტის მოთხოვნის თაობაზე

1. დამხმარე მხარის უფლებამოსილი ორგანო და საკონტაქტო ინფორმაცია:

2. ქვეყანაში შესვლის სასაზღვრო გამშვები პუნქტები:

3. ქვეყანაში სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან მისვლის სავარაუდო დრო:

4. ქვეყნიდან გასვლის სასაზღვრო გამშვები პუნქტები:

5. გამცილებელი ჯგუფის ხელმძღვანელის საკონტაქტო დეტალები (მათ შორის, მობილურის, სატელიტური ტელეფონის ნომრები და რადიოსიხშირეები):

6. ტრანზიტული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, ტიპები და სარეგისტრაციო ნომრები (თუ ეს შესაძლებელია). გაბარიტული და არაგაბარიტული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და ტიპები (თუ ეს შესაძლებელია):

7. დამხმარე მხარის მოთხოვნა – განთავსება: დიახ/არა

(თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ პირთა რაოდენობა)

საწვავით უზრუნველყოფა: დიახ/არა

(თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ საწვავის რაოდენობა და ტიპი)

ესკორტი: დიახ/არა

8. ნებისმიერი სხვა კონკრეტული მოთხოვნა/ინფორმაცია: (მაგ.: სახიფათო მასალების არსებობა და სხვა).“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**